

**დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

თირკმელი, როდესაც სათანადოდ ვეღარ ფუნქციონირებს, ინიშნება დიალიზი. მისი მთავარი დანიშნულება ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის ნარჩენი პროდუქტებისა და ჭარბი სითხის მოშორება, ხელოვნური გზით. არსებობს დიალიზის ორი სახეობა: ჰემოდიალიზი და პერიტონეალური დიალიზი.

ჰემოდიალიზი მკურნალობის მეთოდია, რომელიც ხელოვნური თირკმლის აპარატის მეშვეობით ხორციელდება. მას მაშინ მიმართავენ, როდესაც თირკმელები აღარ ფუნქციონირებს და ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებებს ვეღარ გამოდევნის. ჰემოდიალიზი თირკმელებს სრულფასოვნად ვერ ცვლის, მაგრამ მისი წყალობით ადამიანი ასე თუ ისე განაგრძობს ცხოვრებასა და შრომას.

პერიტონეალური დიალიზი ტარდება პაციენტის მუცლის ღრუში. პერიტონეული დიალიზის დროს ფილტრის როლს ასრულებს პერიტონეუმი ქსოვილი, რომელიც მუცლის ღრუს ამოჭვენს და მის ორგანოებს ფარავს. პლასტიკური მილი, რომელსაც ეწოდება დიალიზის კათეტერი, ქირურგიულად არის მოთავსებული მუცლის ღრუში. ამის შემდეგ სპეციალური სითხე იშლება მუცლის ღრუში და ირეცხება ნაწლავების გარშემო. დიალიზის ეს ფორმა შეიძლება გაკეთდეს სახლის პირობებში, რითაც თავიდან იქნება აცილებული ჰოსპიტალიზაცია.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება სრულად და პაციენტის მხრიდან თანაგადახდას არ ითვალისწინებს.

პროგრამის მოსარგებლები არიან:

- ✓ თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები, ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურება:

- ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა, მათ შორის:
 - ✓ ნეფროლოგის კონსულტაცია;

- ✓ ლაბორატორიული გამოკვლევები საჭიროების მიხედვით;
- ✓ მედიკამენტებით უზრუნველყოფა – საჭიროების შემთხვევაში;
- ✓ დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებებით, მასალითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ✓ სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფა საჭიროებისამებრ.

ჰემოდიალიზის ერთი სეანსის ღირებულება განისაზღვრულია 41 ლარით. ერთ ბენეფიციარზე პროგრამის ფარგლებში წლიურად ფინანსდება ჰემოდიალიზის არაუმეტეს 157 სეანსი, თუ პროგრამის განხორციელების ვადაში საჭირო გახდა დამატებითი სეანს(ებ)ი, მიმწოდებელი მომსახურებას განახორციელებს უსასყიდლოდ.

➤ პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა, მათ შორის:

- ✓ ნეფროლოგის კონსულტაცია;
- ✓ კათეტერის იმპლანტაცია/ექსპლანტაცია საჭიროებისამებრ;
- ✓ ლაბორატორიული გამოკვლევები – საჭიროების მიხედვით;
- ✓ მედიკამენტებით უზრუნველყოფა – საჭიროების შემთხვევაში;
- ✓ დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებებით, მასალითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

პერიტონეული დიალიზის მომსახურების თვის ვაუჩერის ღირებულება განისაზღვრება 105 ლარით.

- **თირკმლის ტრანსპლანტაცია** – თირკმლის გადანერგვის ოპერაციის ჩატარება; ერთი ოპერაცია ანაზღაურდება არაუმეტეს 20 000 ლარისა;
- **ორგანოგადანერგვითა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით** (მ.შ. ინდუქციური იმუნოსუპრესული თერაპიისთვის სიმულექტიტა და მაღალი იმუნოლოგიური რისკის მქონე პაციენტებისათვის ანტითიმოციტური გლობულინით) უზრუნველყოფა;

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებებით სარგებლობის წესი

პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად საჭიროა მიმართვა სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან და შევსება დადგენილი ფორმის განცხადების, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- პროგრამის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა NIV-100/ა-ს (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ან დაბადების მოწმობის) ასლი (როგორც განმცხადებლის, ისე დიალიზის მიმღები პირის, თუ განცხადება შემოაქვს დაინტერესებულ პირს).

მომსახურების უფლებით დაკმაყოფილება ხორციელდება მომართვის რიგითობის მიხედვით. შეუფერხებლად არის შესაძლებელი ბენეფიციარმა შეიცვალოს სერვისის მიმწოდებელი დაწესებულება. თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის ერთი მეთოდის მეორეთი ჩანაცვლება ხორციელდება შეუფერხებლად, შესაბამისი სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში. თირკმლის ტრანსპლანტაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა მიემართოს პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებას და ზემოაღნიშნული დოკუმენტები წარადგინოს სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/dializi%20da%20tirkmlis%20transplantacia.pdf>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05